

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის
ოქმი №6

18 ივლისი, 2015 წ.

სხდომის თავმჯდომარე – ჯემალ მაგანია, რექტორი პროფესორი.

სხდომის მდივანი – ნინო ქოჩაკიძე, პროფესორი.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნინო ქოჩაკიძე – პროფესორი, სხდომის მდივანი.
2. ირაკლი დოლაბერიძე – ასოცირებული პროფესორი.
3. ედუარდ ფეროიანი – ასოცირებული პროფესორი. 6
4. დავით ხაჩიძე – ასოცირებული პროფესორი.
5. კახა ხვედელიძე – ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს 18 ივლისის სხდომის თავმჯდომარის არჩევა
2. უმაღლესი სასწავლებლის რექტორის არჩევნების შესახებ.
3. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააკრედიტაციო კომისიის შემოწმების შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივნის პროფესორ მ. ქოჩაკიძის ინფორმაცია, რომელმაც საბჭოს მოახსენა; იმასთან დაკავშირებით, რომ 17 ივლისს ჩატარდა რექტორის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და მას შეუწყდა უფლებამოსილება, საჭიროა, რომ დღევანდელ საბჭოს სხდომას უხელმძღვანელოს ღია კენჭისყრით არჩეულმა საბჭოს ერთერთმა წევრმა, გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატურა.

აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. დავით ხაჩიძემ დაასახელა პროფ. კახა ხვედელიძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატი არ დასახელებულა. საბჭომ ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 18 ივლისის სხდომის თავმჯდომარედ პროფ. კახა ხვედელიძე

დაადგინეს : აკადემიური საბჭოს 2015 წლის 18 ივლისის სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფ. კ ხვედელიძე.

მოისმინეს: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის ხ. მიქაუტაძის ინფორმაცია 2015 წლის 17 ივლისს ჩატარებული რექტორის არჩევნების შედეგების შესახებ. მან აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს შვიდივე წევრი გამოცხადდა და მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. ამოღებული შვიდი ბიულეტენიდან არც ერთი არ იყო

ბათილი, არც გადახაზული. საბჭოს შვიდივე წევრმა ხმა მისცა პროფესორ ჯ. მაგანიას რექტორის თანამდებობაზე.

დაადგინეს: უმაღლესი სასწავლებლის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხათუნა მიქაუტაძის ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად. საბჭომ ღია კენჭიყრით ცნო პროფ.ჯემალ მაგანიას უღებამოსილება ოთხი წლის ვადით.

მოისმინეს: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ჯემალ მაგანიას იფორმაცია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააკრედიტაციო კომისიის შემოწმების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამდღიანი მუშაობის შემდეგ კომისიამ მოგვაწოდა დასკვნა, რომელიც ძირითადად დადებითია, მაგრამ კომისიის წევრებს აქვთ რიგი მოსაზრებებისა და სურვილებისა, რომლებსაც ვიზიარებთ და წარმოგიგენტ გასახილველად (თან ერთვის).

დაადგინეს: სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააკრედიტაციო კომისიისმოსაზრებები და სურვილები გათვალისწინებულ იქნას, კერძოდ:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამიდან ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი „მანუალური თერაპია“ და მის ნაცვლად შეტანილ იქნას საგანი- „ინტერპერსონალური ფსიქოლოგია“.

2.ფიზიკური აღზრდა და სპორტის მწვრთნელის (ქართულ და რუსულენოვან)

საგანმანათლებლო პროგრამებში:

ა) სასწავლო კურსების სილაბუსებში („დოპინგი და სპორტი“, და „ზოგადი ფსიქოლოგია“) ჩასწორდეს სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის შინაარსში (თემები) მითითებული საათები და შესაბამისობაში მოვიდეს კრედიტით დაანგარიშებულ საათებთან.

ბ) სასწავლო კურსების სილაბუსში - „პირველადი დახმარება ტრავმული დაზიანების დროს“ დაკორექტირდეს სწავლის შედეგებში - ცოდნა/გაცნობიერების და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციები, ხოლო სასწავლო კურსების სილაბუსში „ბიოქიმია“ ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგებშიკომპეტენცია „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“.

გ) სილაბუსებში „მომრავი თამაშებისა“, და „კალათბურთის“ სასწავლო კურსებში შეფასების პრაქტიკული კომპონენტში „ვარჯიშების პრაქტიკული შესრულება“ ჩაიშალოს 5-ქულიანი შეფასება, „ბიოქიმის“ სილაბუსში დაკონკრეტდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების 10 ქულიანი შეფასების კრიტერიუმები დადაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა

3. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო (ქართულ და რუსულენოვან) საგანმანათლებლო პროგრამებში:

ა) სილაბუსებში მიეთითოს თუ რომელი სასწავლო კურსი არის სავალდებულო და რომელი არჩევითი.

ბ) დაკორექტირდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, მაგ. „სამედიცინო ბიოლოგიაში - 2“ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს „სამედიცინო ბიოლოგია 1“.

გ) სილაბუსებში ჩანაწერი „შუალედური შეფასება“, ჩასწორდეს „შუალედური გამოცდით“.

დ) გათვალისწინებულ იქნას რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ქართული ენის სწავლება (უცხოენოვან სტუდენტებისათვის).

ე) მოხდეს რუსულენოვანი სილაბუსის „საერთაშორისო სპორტის დიპლომატიური საფუძვლების“ კორექტირება

საკრედიტაციო კომისიის მიერ რუსულენოვან პროგრამებთან (მწვრთნელისა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის) დაკავშირებით გამოთქმულია სურვილები, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებული იქნას რუსული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა, ვინაიდან პროგრამა რუსულენოვანია და სწავლის ენად განსაზღვრულია- რუსული ენა, ვფიქრობთ ეს აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება პროგრამის სასწავლო კურსებით „ოკუპაციური თერაპია“, „ნეირორეაბილიტაცია“, „კინეზოთერაპია“ და სხვა სამკურნალო და რეაბილიტაციის სასწავლო კომპონენტებით გამდიდრებას ეს საგნები შეტანილია სწავლების მეორე საფეხურზე - სამაგისტრო პროგრამებში.აქ

სხდომის თავმჯდომარე, ასოც. პროფესორი

სხდომის მდივანი, პროფესორი



კახა ხვედელიძე

ნინო ქოჩაკიძე